საზოგადოების ცხოვრების დონე და მისი კავშირი გარემოს დაცვასა და კვლავწარმოებასთან

პარმენ ლემონჯავა
სტუ-ს სრული პროფესორი

საზოგადოების მიერ მატერიალური დოვლათის წარმოება და მოხმარება ბუნების ხარისხზე მოქმედი ერთ-ერთი ფაქტორია. აქედან გამომდინარე, ბუნებაზე ზემოქმედ ფაქტორებს მატერიალური დოვლათის წარმოებისა და მოხმარებასთან ერთად ფართო გაგებით შეიძლება მივაკუთვნოთ ადამიანთა ცხოვრების დონე.

ცხოვრების დონე გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელთა სისტემას, რომლის ერთ-ერთი ელემენტია მატერიალური დოვლათის წარმოებისა და მოხმარების მოცულობა. ამ უკანასკნელიდან გამომდინარე, არ იქნება სწორი, ყოველგვარი კომენტარის გარეშე ვადიაროთ, რომ ცხოვრების დონე პირდაპირ უარყოფით გავლენას ახდენს ბუნებაზე, არამედ ისინი უნდა წარმოვიდგინოთ დიალექტიკურ კავშირში. ცხოვრების დონე ბუნებაზე უარყოფით გავლენას ახდენს მხოლოდ ამ უკანასკნელის არაგონივრული გამოყენების დროს.

ბუნება თავის მხრივ მკვეთრ გავლენას ახდენს ცხოვრების დონეზე, რადგან თვითონ შედის ადამიანთა ცხოვრების დონის მაჩვენებელთა სისტემაში. ბუნება მისი ნორმალური მდგომარეობა, მატერიალურ პირობებთან ერთად აუცილებელია საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის. აქედან ბუნებრივია, ბუნება უნდა განვიხილოთ, როგორც საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილების ბუნებრივი პირობა და მისი ცხოვრების დონის ერთ-ერთი ამსახველი მაჩვენებელი. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რამდენად მეტი რესურსი გამოიყენება ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპების უზრუნველსაყოფად, მით უფრო მეტი ღონისძიების გატარებაა საჭირო ბუნების ხარისხის შესანარჩუნებლად. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მატერიალური სახსრების გადანაწილება ბუნების დაცვის მიზნით ეკონომიკური განვითარების სისტემების გარკვეული შემცირების ხარჯზე სრულებით არ ნიშნავს ცხოვრების დონის დაქვეითებას, რადგან ბუნების გაუმჯობესება, ისევე როგორც მატერიალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონის ამაღლება, ხელს უწყობს საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლებას.

მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ საზოგადოების ცხოვრების დონე არ დაიყვანება მხოლოდ მატერიალური მოთხოვნილების რაოდენობრივ მაჩვენებლებამდე, არამედ უკანასკნელი ითვალისწინებს ადამიანის მატერიალური, კულტურული, სულიერი და ეკოლოგიური მოთხოვნილებების ყოველმხრივ ჰარმონიულად დაკმაყოფილებას. ბუნებას და ეკონომიკურ განვითარებას შორის წინააღმდეგობის დაძლევა წარმოებს მეცნიერულად შედგენილი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ღონისძიებათა განხორციელების საფუძველზე.

ბუნებისა და ცხოვრების დონის ურთიერთკავშირის პრობლემა საზოგადოების განვითარების თანამედროვე პირობებში აქტუალურად დგას ყველა ქვეყანაში, ცხოვრების დონე ტრადიციულად უნდა გაიზომოს მატერიალური ფასეულობებისა და მომსახურების სიდიდით და გამოიხატოს ნატურალურთან ერთად ფულადი ფორმითაც.

სავსებით ბუნებრივია, რომ საკითხისადმი ასეთ მიდგომას მივყავართ იქამდე, რომ გარემოს გაუარესება უკავშირდება ცხოვრების დონის ამაღლებას. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად მარტო საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება არ წარმოადგენს მაღალი ეროვნული შემოსავლის სინონიმს. თუმცა ფაქტია, რომ მისი სიდიდე ისეთი მთავარი ელემენტია, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების კეთილდღეობის დონეს. ამასთან მარტო ეკონომიკური ზრდა არ გვიჩვენებს ცხოვრების დონის ამაღლებას, არამედ მხედველობაში უნდა

იქნეს მიღებული ისიც, თუ რა ეკოლოგიურ პირობებშია ეს მიღწეული. მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანთა ცხოვრების დონეს განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარებასთან ერთად გარემო, მისი ხარისხი. ამ უკანასკნელში იგულისხმება: ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა, კულტურისა და განათლების დონე, თავისუფალი დროის გამოყენება და სხვა. სწორედ გარემო წარმოადგენს ერთ-ერთ ისეთ მაჩვენებელს, რომელიც დიდ როლს ასრულებს საზოგადოების ცხოვრების დონის ხარისხის ამაღლების საქმეში.

ბუნებასა და საზოგადოების ცხოვრების დონეს შორის ურთიერთკავშირისადმი ასეთი მიდგომა ნიშნავს ადამიანთა ცხოვრების დონის სწორ გაგებას. ამიტომ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაპროექტების დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ არამარტო ეკონომიკური, არამედ სხვა მაჩვენებლებიც.

მისასალმებელია, რომ უკანასკნელი პერიოდის ნაშრომებში, განსაკუთრებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტებში, უფრო მკაფიოდ იკვეთება აზრი, რომ საზოგადოების განვითარებაში უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო ეკონომიკური, არამედ გარკვეული კომპლექსური ზრდის მომენტებიც.

თეორიულად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასაბუთებულია, რომ ბუნების მდგომარეობა ცხოვრების დონის მაჩვენებელთა სისტემის ერთ-ერთი ელემენტია. ასეთი მიდგომისას ნათელი ხდება ცხოვრების დონესა და ბუნებას შორის ურთიერთკავშირის ერთი მნიშვნელოვანი მხარე, რამდენად უფრო მაღალია ბუნების ხარისხი, მით უფრო მაღალია ცხოვრების დონეც. მნიშვნელოვანია აქვე გაირკვეს ცხოვრების დონესა და ბუნებას შორის ურთიერთკავშირის მეორე მხარეც, კერძოდ, ცხოვრების დონის მაჩვენებელი მატერიალური დოვლათის მოხმარების გავლენის საკითხი ბუნებრივ გარემოზე.

ბუნების გაუარესების ფაქტორების ანალიზი მოწმობს, რომ ცხოვრების დონის მაჩვენებელი მატერიალური დოვლათის არაგონივრული მოხმარება უარყოფით გავლენას ახდენს ბუნებაზე. აქ საქმე ეხება საზოგადოების, როგორც მომხმარებლის მოქმედების გარკვეულ ნეგატიურ გავლენას ბუნებაზე და არა ობიექტურ პროცესებს, რომლებიც გამომდინარეობენ საწარმოო ძალების განვითარების, ტექნიკური პროგრესის დანერგვისა და ადამიანის მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ამოცანებიდან.

ადამიანის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ზოგიერთი უარყოფითი გავლენა ბუნებაზე შეიძლება აცილებულ იქნეს, მხოლოდ საჭიროა გამოინახოს ეკოლოგიური პრობლემებისადმი პასუხისმგებლური მიდგომის, ზოგიერთ შემთხვევაში კი იძულების სათანადო მეთოდები. უდავოა, რომ აღნიშნული შესაძლებელია იმ პირობებში, როცა ბუნების ხარისხი განიხილება, როგორც ცხოვრების დონის ერთ-ერთი ელემენტი. პრობლემისადმი ასეთი მიდგომის გარეშე არ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს საზოგადოების ცხოვრების მაღალი დონე, რომლის მიღწევა ნებისმიერი ქვეყნის ერთ-ერთი მიზანია. აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა, რომ მატერიალური დოვლათის წარმოებისა და მისი განვითარების ღონისძიებასთან ერთად შემუშავდეს ბუნების დაცვისა და კვლავწარმოების ღონისძიებები.

საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილება დამოკიდებულია როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არა მხოლოდ მატერიალური დოვლათის მოხმარებაზე, არამედ სიცოცხლის უზრუნველმყოფ ეკოლოგიურ პირობებზე. საზოგადოების არსებობაზე, მისი ნორმალური განვითარების პირობებზე. საერთოდ მსჯელობა არ შეიძლება, თუ არ არის შექმნილი ბუნებრივი პირობები. ამიტომ, როდესაც საზოგადოების ცხოვრების მაღალი დონის პირობების შექმნაზეა მსჯელობა, მხედველობაშია მისაღები არა მარტო მატერიალური, კულტურული, სულიერი, არამედ ეკოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობებიც. საქმე ისაა, რომ ადამიანთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება უნდა მოხდეს კომპლექსურად, ერთი მხრივ, ეკონომიკური პირობებით, განათლების, კულტურის, სამედიცინო მომსახურების, უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფის, ხოლო მეორე მხრივ, ნორმალური ეკოლოგიური პირობების შექმნით.

საზოგადოება ბუნების, მის ზოგიერთ რესურსს, განსაკუთრებით მატერიალური დოვლათისაგან, იყენებს კოლექტიურად. თუ საზოგადოება ასეთი სახის ბუნებრივ რესურსებს გონივრულად იყენებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის იმყოფება განვითარების მაღალ დონეზე.

საზოგადოების საერთო მოთხოვნილების დაკმაყოფილების მაჩვენებელი, ამა თუ იმ ფაქტორისადმი ინტერესი, სხვადასხვა ქვეყანაში საწარმოო ძალების განვითარების დონის შესაბამისად სხვადასხვაა. ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცხოვრების ეკონომიკური დონის ამაღლების პრობლემას, რადგან აქ მატერიალური დოვლათის წარმოების ნაკლებობას განიცდიან, ხოლო რაც შეეხება ბუნებას, მის რესურსებს, ასეთ ქვეყნებში ნაკლები ყურადღე-

ბა ექცევა. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში კი პირიქით, უფრო მწვავედ დგას ბუნების დაცვისა და გაჯანსაღების პრობლემა. ჭეშმარიტებაა, რომ პირველი ფაქტორი – ეკონომიკური განვითარების დონე უშუალოდ დაკავშირებულია საზოგადოების მატერიალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონესთან და გვიჩვენებს მატერიალური დოვლათის წარმოებისა და მოხმარების მოცულობის სიდიდეს, მისი შეცნობა რთული არაა და ყველასათვის მისაწვდომია. მაგრამ სულ სხვა გარემოებასთან გაქვს საქმე, როდესაც საკითხი ეხება საზოგადოების საერთო მოთხოვნილების დაკმაყოფილების მეორე მრავალფეროვან ფაქტორს – სიცოცხლის უზრუნველმყოფ სოციალურ-ეკოლოგიურ პირობებს. საზოგადოების საერთო მოთხოვნილების დაკმაყოფილების სოციალურ-ეკოლოგიური პირობების შექმნა საბოლოო ჯამში ნიშნავს წარმოების პიროვნული ფაქტორის – სამუშაო ძალის კვლავწარმოებას.

საერთო მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონის ამაღლებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაკუთრებული როლი ეკუთვნის ბუნებას, მის რესურსებს. ბუნებრივი რესურსები წარმოადგენენ არა მხოლოდ ეკონომიკის, არამედ საერთოდ, საზოგადოების განვითარების ერთერთ მყარ პირობას. საზოგადოებამ თანამედროვე ეტაპზე გადამწყვეტი ნაბიჯი უნდა გადადგას საერთო მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონის ამაღლებისათვის. ამ უკანასკნელის მიღწევისათვის საჭირო გარემოს დაცვის, მის გაჯანსაღებისა და კვლავწარმოების საკითხისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა. საქმე ისაა, რომ თანამედროვე პირობებში ტექნიკური პროგრესი გამოყენებულ უნდა იქნეს არა მარტო ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, არამედ საერთო მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვისაც.

საზოგადოების საერთო მოთხოვნილების დაკმაყოფილება, როგორც ცნობილია, უშუალოდ დაკავშირებულია მატერიალური წარმოების განვითარების დონესთან, სოციალურ-პოლიტიკურ პირობებზე და სიცოცხლის უზრუნველმყოფი ეკოლოგიური პირობების მდგომარეობასთან. აქედან გამომდინარე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების საერთო მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხს ზემოთ ჩამოთვლილი სამი ფაქტორი გამოხატავს, რაც სქემის სახით შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: საერთო მოთხოვნილება უდრის ცხოვრების ეკონომიკურ დონეს პლიუს სოციალურ-პოლიტიკური პირობები, პლიუს ეკოლოგიური პირობები.

მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ საზოგადოებაში საწარმოო ძალთა განვითარების კვალობაზე საერთო მოთხოვნილების დაკმაყოფილების ამაღლების უფრო მეტი შესაძლებლობა იქნება.

ბუნება უნიკალური საფუძველია სიცოცხლის უზრუნველმყოფი ეკოლოგიური პირობების არსებობისათვის. ის სამმხრივ უწყობს ხელს ამ უკანასკნელის რეალურად არსებობას. ბუნება საზოგადოების არსებობის უშრეტი წყაროა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბუნება თავისი კომპონენტებით მთავარი საწარმოო ძალის – სამუშაო ძალის კვლაწარმოების საერთო ბუნებრივ პირობას წარმოადგენს. ამიტომ საჭიროა ბუნების, მისი რესურსებისადმი გონივრული დამოკიდებულება.

ბუნება, მისი სიმდიდრე დღეს დიდ ყურადღებას მოითხოვს, რადგან ტექნიკური პროგრესის დარგში მიღწევების ცალმხრივად გამოყენების შედეგად ეკოლოგიური წონასწორობა განუწყვეტლივ ირღვევა.

წარმოების განვითარების მასშტაბები მიგვანიშნებს, რომ მომავალში მსოფლიოში ყველა ოჯახს ექნება კულტ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ყველა მისთვის სასურველი ნივთი. ამასთან საქმე ისაა, რომ ევროპისა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში ასეთ პირობებში შეიძლება გარემოს ხარისხის უკმარისობა იგრძნონ. ეს უკანასკნელი გარემოება თანამედროვე პირობებში საზოგადოების წინაშე მთელი სიმწვავით აყენებს კვლავწარმოებადი ბუნების რესურსების რაციონალურად გამოყენების საკითხს.

ფაქტია, რომ ადამიანებს სურთ ყოფნა იქ, სადაც ჯანსაღი ბუნებაა. ამას მოწმობს ადამიანების მისწრაფება, რომ დასვენების დღეებში გაატარონ ქალაქგარეთ, ბუნებრივ გარემოში.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მეცნიერება ადრე ნაკლებ ყურადღებას უთმობდა იმ ბუნებრივი სიმდიდრის კვლავწარმოების პრობლემას, რომელიც შრომის შედეგად არ იყო შექმნილი. ამის გამო რიგ ქვეყნებში ბუნება. მისი რესურსები დეგრადაციის გზას დაადგა. ამ უკანასკნელი პროცესის მიზეზს წარმოადგენს საზოგადოების მხოლოდ მომხმარებლური და ეკონომიკის განვითარების საკითხებთან შედარებით ნაკლები ყურადღების გამახვილება ბუნების, მისი კვლავწარმოების საკითხისადმი. ამ მხრივ დარგობრივი მეცნიერება „ბუნების გამოყენების ეკონომიკა" მნიშვნელოვანი ამოცანების წინაშე დგას. მან უნდა შეიმუშაოს ბუნების გამოყენების როგორც თეორიული საფუძვლები, ასევე პრაქტიკული ღონისძიებანი

და ამით ხელი შეუწყოს ეკონომიკისა და ბუნების ჰარმონიულ განვითარებას.

ბუნება, როგორც ფაქტორი გავლენას ახდენს წარმოების ეფექტიანობაზე. იქ, სადაც ჯანსაღი ბუნებაა, მაღალია შრომის მწარმოებლურობა და პირიქით. მიუხედავად ამისა, შრომის მწარმოებლურობის ამაღლების თვალსაზრისით მიმართულ ღონისძიებათა სისტემაში სრულყოფილად არ არის გათვალისწინებული ბუნების როლი და მნიშვნელობა. ბუნება ძლიერ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, მის ფიზიკურ, ფსიქიკურ და ესთეტიკურ მოთხოვნილებაზე.

ბუნება, მისი რესურსები ორმხრივად აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებას. ერთი მხრივ, ბუნება თავისი რესურსებით აკმაყოფილებს საზოგადოების საწარმოო მოთხოვნილებას, რადგან ის იძლევა სამრეწველო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, წარმოადგენს ტრანსპორტის, მშენებლობის განვითარების მტკიცე ბაზას და სხვა. მეორე მხრივ, ბუნება თავისი სასარგებლო თვისებით აკმაყოფილებს საზოგადოების სოციალურ-ეკოლოგიურ მოთხოვნილებას.

ბუნების, მისი რესურსების მატერიალური წარმოების ნივთობრივ ფაქტორად და საზოგადოების მომსახურების საშუალებას გამოყენებას შორის დიდი ზღვარი არ არის, რადგან მათ საერთოც აქვთ. საერთო ის არის, რომ ბუნებას, მისი რესურსების ორივე თვალსაზრისით გამოყენებას ღირებულება აქვს. ბუნების მომსახურების საშუალებას გამოყენებისას აქვს „ღირებულება" და მიახლოებით გამოიხატება მისი მომსახურების შედეგად საზოგადოების ყოველი წევრის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის დანახარჯების ნაწილისა და ბუნების გაჯანსაღების მიზნით გაწეული დანახარჯების ჯამით. საერთოდ, ბუნების მომსახურების „ღირებულებას" საფუძვლად უნდა დაედოს ის სარგებლიანობა, რომელსაც საზოგადოება მისგან მიიღებს.

ბუნებას გამოყენების თვალსაზრისით, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას განსხვავებული პოზიციები უჭირავთ. სოფლის მეურნეობაში ბუნების, მისი რესურსების რაციონალური გამოყენება უფრო წარმოებს, ვიდრე მრეწველობაში. მიუხედავად ამისა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესმაც შეიძლება ბუნებასთან წინააღმდეგობა წარმოშვას. ამას შეიძლება ადგილი ექნეს მაშინ, როცა ზოგიერთი სახის ბუნებრივი რესურსის ეკონომიკურ მნიშვნელობას უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე ადამიანის, როგორც მთავარი საწარმოო ძალის მნიშვნელობას, რაც ყოვლად გაუმართლებელია. მრეწველობა სოფლის მეურნეობასთან შედარებით უფრო არღვევს ეკოლოგიურ წონასწორობას. ხშირად ადგილი აქვს ტექნიკური და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით ნახმარი წყლით ზღვების, ტბების, მდინარეების და სხვა წყალსაცავების გაჭუჭყიანებას, რაც იწვევს იქ თვითაღდგენის უნარის დაკარგვას.

თანამედროვე პერიოდში, როცა საზოგადოება დაინტერესებულია მატერიალური წარმოების გადიდებით, ცალკეულ შემთხვევაში მაღლა აყენებს ბუნებრივი რესურსების, როგორც წარმოების ფაქტორის მნიშვნელობას, ამიტომ ხშირად ირღვევა ეკოლოგიური წონასწორობა.

იმის გამო, რომ ბუნების, მის რესურსების, მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში, როგორც ნედლეულის სახით გამოყენება უფრო მომგებიანია, ვიდრე მომსახურების, ამიტომ ხშირად წარმოებს მათი სამშენებლო მოედნებად, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად გამოყენება. მრეწველობის ზოგიერთ დარგში ტექნიკური პროგრესის დანერგვისას ანგარიში ეწევა მხოლოდ ეკონომიკურ მხარეს. ბუნებისა და მისი რესურსებისადმი ხშირად ადგილი აქვს უწყებრივი ინტერესებით მიდგომას. მათ პირველ რიგში აინტერესებთ ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება.

საქმე ისაა, რომ ბუნების, მისი რესურსებისადმი, მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით მიდგომა უმართებულოა, რადგან მას დიდი სოციალური მნიშვნელობაც აქვს. ამ საქმისადმი ასეთი ცალმხრივი მიდგომა ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს.

საზოგადოების არსებობისა და მის განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემათა კომპლექსში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეკონომიკურ მოთხოვნათა დაკმაყოფილებასა და შესაძლებლობათა შორის შესაბამისობის საკითხს.

საზოგადოების ეკონომიკურ მოთხოვნათა დაკმაყოფილების დიდ შესაძლებლობას იძლევა ბუნება, მისი რესურსები. ადამიანები შედიან რა გარკვეულ საწარმოო ურთიერთობაში, აწარმოებენ თავიანთი არსებობისათვის საჭირო პროდუქტებს, რომლებიც ბუნებაში მზამზარეულად არ მოიპოვება. ადამიანები, როდესაც ქმნიან ცხოვრებისათვის აუცილებელ საშუალებას, ამავე დროს ერთდროულად ინარჩუნებენ სიცოცხლესაც.

წარმოების პროცესი წარმოადგენს ადამიანთა მიზანშეწონილ საქმიანობას სახმარი ღირებულების შექმნისათვის, რომლებიც გულისხმობს ნივთიერებათა ცვლას ადამიანსა და ბუნებას შორის. ამ უკანასკნელ პროცესს ადამიანი თავისი საქმიანობით ასაშუალებს და აკონტროლებს.

ბუნებას ადამიანი უპირისპირდება როგორც ძალა. მას მოძრაობაში მოჰყავს მკლავები, თავი და ხელები, რათა ბუნების ნივთიერება თავისი საკუთარი არსებობისათვის გამოსადეგი ფორმით

მიითვისოს. როცა ის ამ მოძრაობის საშუალებით ბუნებაზე ზემოქმედებას ახდენს და ცვლის მას, იგი იმავე დროს ანვითარებს საკუთარ ბუნებაში მთვლემარე სხვადასხვა უნარს და ამ მოძრაობას თავის საკუთარ ნებას უმორჩილებს.

თანამედროვე პირობებში ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ფართო მასშტაბებმა გააძლიერეს ეკონომიკურ და ეკოლოგიურს შორის კავშირი. ადამიანის საქმიანობას ადგილი აქვს საზოგადოების როგორც საწარმოო, ისე არასაწარმოო სფეროში და გულისხმობს ამ საქმიანობის ყველა ასპექტს. ამ გარემოებამ აუცილებელი გახადა საზოგადოებასა და ბუნებას შორის კავშირურთიერთობის სისტემური მიდგომით შესწავლა.

საზოგადოების შრომის პროდუქტები, ისე როგორც ბუნების პროდუქტები, წარმოადგენენ მითვისების ობიექტებს, ე.ი. საკუთრებით ურთიერთობებს. მისი ისტორიული ფორმა განპირობებულია ადამიანთა იმ ურთიერთობის ხასიათით, რომელიც გულისხმობს წარმოების საშუალებებისა და შექმნილი მატერიალური დოვლათის მითვისებას. ყველა მითვისება გულისხმობს ობიექტის არსებობას.

მითვისების ასეთ ერთ-ერთ ობიექტს წარმოადგენს ბუნება, მისი რესურსები. ეს განპირობებულია იმით, რომ საზოგადოება თვითონ უფრო გრძნობდა მათ შეზღუდულობას. ბუნებრივი რესურსები შეზღუდული რომ არ იყოს, მაშინ მათ მითვისებას ერთი პირის მიერ არ შეეძლო გამოერიცხა, მისი მითვისება მეორეს მიერ.

საზოგადოების ეკონომიკური ურთიერთობა, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში ეკონომიკური ინტერესის ფორმით. ეკონომიკური ინტერესები წარმოადგენს საზოგადოების განვითარების მამოძრავებელ ძალას.

ეკონომიკური ინტერესები განსაზღვრავენ მოცემული საზოგადოების ბუნებასთან ურთიერთობისა და რესურსების გამოყენების ხასიათს. ეკონომიკური ინტერესების ვიწრო უწყებრივი ხასიათი საზოგადოებაში, უცილობლად წარმოშობს ბუნებისადმი მომხმარებლურ დამოკიდებულებას.

ქვეყნის ეკონომიკისა და ბუნების განვითარების ჰარმონიულად შეხამების პირობებში ეკონომიკური ინტერესები ობიექტურად განაპირობებენ ბუნების დაცვას და შესაძლებლობას ქმნიან მისი კვლავწარმოებისათვის.

ცნობილია, რომ ეკონომიკის პირველადი სტრუქტურული რგოლი, სადაც იქმნება მატერიალური დოვლათი, არის საწარმო, ფირმა. ამ უკანასკნელის ადგილი განსაზღვრულია სივრცეში. ეს უკანასკნელები ნედლეულს, მასალებს, ენერგიას ღებულობენ, როგორც ახლო, ისე დაშორებული რაიონებიდანაც. მაგრამ ისეთი რესურსებით, როგორიცაა: წყალი, ჰაერი, სარგებლობა წარმოებს უშუალოდ მათი მდებარეობის ზონის ბუნებრივი გარემოდან ამოღებით. ამიტომ ეკონომიკის პირველადი სტრუქტურული რგოლის ბუნებასთან კავშირურთიერთობა რეგიონულ ჭრილში უნდა იქნეს განხილული.

ბუნება საზოგადოებისათვის წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობის ბუნებრივ ბაზას. სანამ წარმოება შედარებით განუვითარებელი იყო, მისი გამოყენება უმნიშვნელოა. ამიტომ სხვადასხვა დროს ბუნებას, მის რესურსებს ეძლეოდა არაერთგვაროვანი მნიშვნელობა.

გარემო დიდ როლს ასრულებს საზოგადოების ცხოვრებაში. მეცნიერული ხასიათის ლიტერატურაში ხშირად გარემო განიხილება, როგორც ადამიანისა და ბუნების ურთიერთმოქმედების შედეგი. მეცნიერულ ლიტერატურაში ბუნებრივი გარემოს გარდა გამოიყენება ტერმინი „ეკოლოგია". ეს ტერმინი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემოთავაზებული იქნა ე. ჰეკელის მიერ 1869 წელს, მაგრამ სისტემატური გამოკვლევები ამ დარგში დაიწყო მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისიდან.

ეკოლოგიურ პრობლემათა საერთო კომპლექსიდან ყველაზე უფრო გამოიყოფა ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემები. ადამიანი უპირველეს ყოვლისა არის ბიოლოგიური არსება და მას არ შეუძლია ურთიერთკავშირში არ იყოს მის გარემომცველ სამყაროსთან. ადამიანი არა მარტო ბიოლოგიური არსებაა, არამედ სოციალურიც, ამიტომ მის კავშირებს გარემოსთან სოციალური ხასიათი აქვს.

გარემო და ადამიანი დედამიწის მატერიალური სამყაროს შემადგენელი ნაწილებია. გარემო არსებობს ადამიანის გარეშე და დამოუკიდებლად, მაგრამ შეადგენს მისი ბინადრობის აუცილებელ ადგილს.

ცნობილია, რომ დედამიწაზე სიცოცხლე ბუნების ევოლუციის შედეგია, ადამიანი კი ამ განვითარების პროდუქტი. ადამიანი იმყოფება გარემოს შიგნით, განიცდის მისი კანონების გავლენას, ხოლო ბუნებრივი რესურსების გამოყენების პროცესში აწარმოებს ნივთიერებათა ცვლას თავის თავსა და ბუნებას შორის. ადამიანი, როგორც სოციალური ორგანიზმი გარკვეული საზოგადოებრივი ფორმების საშუალებით შედის ურთიერთქმედებაში ბუნებასთან.

საზოგადოების დამოკიდებულების შესახებ ბუნებასთან, როგორც მისი არსებობის ბუნებრივ საფუძველთან თავიდანვე ერთიანი აზრი არ არსებობდა. მაგალითად, XVIII საუკუნის საფრანგეთის განმანათლებელი **შარლ მონ-**

ტესკიე ნაშრომში „კანონების მიმდინარეობის შესახებ" ამტკიცებდა, რომ ადამიანთა ჩვეულებანი და რელიგიური რწმენა, საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობა განისაზღვრება პირველ ყოვლისა კლიმატის თავისებურებებით. ინგლისელი სოციოლოგი გ. ბოკლი წიგნში „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში" ამტკიცებდა, რომ არა მარტო კლიმატი, არამედ ნიადაგის საკვების თავისებურებებიც და აგრეთვე ლანდშაფტიც გარკვეულ გავლენას ახდენენ ხალხთა ხასიათზე, მათ ფსიქოლოგიაზე, მათი აზროვნების აგებულებაზე, ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წყობაზე.

ბუნება, მისი რესურსები დიდ როლს ასრულებს საზოგადოების ცხოვრებაში მისი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. განვითარების ადრეულ ეტაპზე ბუნება, მისი რესურსები გამოიყენებოდა როგორც მზამზარეულად არსებული ბუნებრივი სიმდიდრეები არსებობის საშუალების სახით. უფრო მოგვიანებით ბუნებრივი სიმდიდრეები გამოიყენებოდა წარმოების საშუალებათა სახით.

საზოგადოების განვითარების დაბალ საფეხურებზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბუნებრივი სიმდიდრეების პირველი სახით გამოყენებას, ხოლო მაღალ საფეხურზე კი მეორე სახით.

პირველყოფილი ადამიანებისათვის ქვანახშირის, ნავთობის, რკინის საბადოებს, აგრეთვე სანაოსნო მდინარეებს, ჩანჩქერებს არ ჰქონდათ სასიცოცხლო მნიშვნელობა. ამიტომ ისინი არ ახდენდნენ გავლენას წარმოებაზე. საწარმოო ძალთა განვითარების კვალობაზე, ბუნებრივმა რესურსებმა მოიპოვეს განმსაზღვრელი მნიშვნელობა წარმოებაში. რაც უფრო მდიდარია ბუნება რესურსებით, მით უფრო შეიძლება ადამიანმა მოიპოვოს შრომის უმცირესი დანახარჯებით მისთვის საჭირო არსებობის საშუალებანი.

კაცობრიობის განვითარების ისტორია მოწმობს, რომ განვითარებისათვის უფრო ხელსაყრელია ის ბუნება, რომელსაც აქვს მრავალფეროვანი ხასიათი. ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება შეადგენს შრომის დანაწილების ბუნებრივ საფუძველ და აიძულებს ადამიანს, ბუნებრივი პირობების ცვალებადობის გზით გაამრავალფეროვნოს თავისი საკუთარი შრომის უნარი და საშუალებანი.

განვითარების განმსაზღვრელ ეტაპზე ადამიანი უფრო ეფექტიანად იყენებდა იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც ბუნება იძლეოდა. უფრო მეტიც, თავისი მრავალხმრივი სამეურნეო საქმიანობით უფრო აქტიურად ახდენდა გარდამქმნელ ზეგავლენას ბუნებაზე. გაფართოვდა ადამიანის შესაძლებლობანი ბუნების, მისი რესურსების გამოყენების დარგში.

საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლა დაკავშირებულია ხელით შრომიდან მანქანურ შრომაზე, რამაც გაადიდა მოთხოვნა სხვადასხვა სახის რესურსზე, განსაკუთრებით ქვანახშირზე და ლითონზე. ბევრ რაიონში დაიწყო დიდი მასშტაბების სამთო-სამრეწველო დამუშავება. მეტალურგიული და ქიმიური ქარხნების, თბოელექტროსადგურების სიმძლავრეთა სწრაფმა ზრდამ, შიდაწვის ძრავების შექმნამ ტრანსპორტის განვითარებამ, კიდევ უფრო გააძლიერა ადამიანის ზეგავლენა ბუნებაზე.

სამრეწველო ცენტრებში გარემო განსხვავდება სოფლის გარემოსაგან და აქვს თავისებურებანი. ეს ტენდენციები განუზომლად გაძლიერდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში, როდესაც წარმოებს ბუნების, მისი რესურსების მზარდი მასშტაბით ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვა. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება ნავთობის, გაზის მოპოვება. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია აძლიერებს მოთხოვნას მინერალურ სასუქსა და მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებებზე. ამან მკვეთრად გაზარდა ადამიანის გავლენის მასშტაბები და ინტენსიურობა ბუნებაზე, რომელიც წინათაც იმყოფებოდნენ მისი სამეურნეო საქმიანობის ზეგავლენაში.

ტრანსპორტის განვითარებამ, მსხვილი ქალაქების ზრდამ განუზომლად გაადიდა ატმოსფეროში ნარჩენების რაოდენობა, გააძლიერა მისი გაჭუჭყიანების დონე. მდინარეებისა და წყალსაცავების სხვადასხვა სახეობის ნარჩენებით გაჭუჭყიანების მასშტაბები იმდენად გაიზარდა, რომ ზოგიერთმა მათგანმა დაკარგა თვითაღდგენის ბუნებრივი უნარი.

სამურნეო საქმიანობის ზეგავლენის გლობალური ხასიათი ეკონომიკის განვითარებას ახალ დამოკიდებულებაში აყენებს ბუნებასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ამ პრობლემას სხვადასხვა ხარისხით აქვს აქტუალობა. ამასთან გასათვალისწინებელია ის, რომ ბუნება, ეს არის ერთიანი განუყოფელი მთლიანობა და მას პლანეტარული ხასიათის აქვს. აქედან გამომდინარე, უპირველესად პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს პლანეტის ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და კვლავწარმოების საკითხებს.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი მეტ-ნაკლები სიმწვავით წარმოდგება. სწორედ ამიტომაა, რომ ევროპისა და აზიის რიგ ქვეყნებში მშრომელები აწყობენ „ეკოლო-

გიურ” გაფიცვებს. გერმანიაში ახალი პოლიტიკური ძალა გახდა „მწვანეთა” პარტია, რომლებიც გამოდიან ბუნების დაცვის ლოზუნგით. ანალოგიური პარტიები წარმოიშვნენ ავსტრიაში, ბელგიაში, დიდ ბრიტანეთში, ირლანდიაში, საფრანგეთში – 1984 წლის დასაწყისში ეს პარტიები გაერთიანდნენ ევროპის „მწვანე” პარტიათა ალიანსში.

საზოგადოების სამეურნეო საქმიანობასა და ბუნებას შორის ურთიერთობის საკითხებზე არსებობს როგორც პესიმისტური, ისე ოპტიმისტური შეხედულებები. პესიმისტური შეხედულება სურათს ხატავს მრუდედ და თვლის, რომ კაცობრიობა მიდის გარდაუვალ დაღუპვამდე. მისგან ხსნად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიჩნეულია, ეკონომიკურ ზრდაზე უარის თქმა, პროდუქტების მოხმარების შემცირება და სხვა.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არც ერთი და არც მეორე შეხედულების გაუთავისებლობა და შეუფასებლობა სიკეთეს არ მოუტონს საზოგადოებას. მაგრამ ამასთან, ჭეშმარიტებაა, რომ ბუნების დაცვა და მისი რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია ქმნის პირობებს მსოფლიო მასშტაბით ქვეყნების ეკონომიკისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების მეცნიერულად დასაბუთებულ რეგულირებისათვის. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ შესაძლებლობანი ხორციელდება ავტომატურად, მათი რეალიზაცია უნდა მოხდეს საზოგადოების მიზანსწრაფული საქმიანობის გზით. სისტემაში – ბუნება – ეკონომიკა არ შეიძლება უპირატესობა მიეცეს არც ერთ მხარეს. ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემის ოპტიმალური მეთოდით მენეჯმენტის ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყოს მათი ელემენტების ურთიერთჰარმონიული მოქმედება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პ. ლემონჯავა, ბუნების გამოყენების ეკონომიკა. გამომცემლობა „უნივერსალი”, თბ., 2011წ.
2. პ. ლემონჯავა, ეკონომიკისა და ეკოლოგიის ურთიერთობის ასპექტები. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია”, თბ., 2006წ.
3. პ. კოღუაშვილი, საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება: რეალობა და პროგნოზები. თბ., 2004წ.
4. Папенов К.В. Экономика природопользования. М., 2008.
5. Экономические проблемы природопользования на рубеже XXI века. М., 2003.
6. Медоуз Д.Х., Медоуз Д.Л., Рандерс И., Беренс В.В. Переделы роста. М., 1991.

THE LEVEL OF LIFE OF THE SOCIETY AND ITS RELATION WITH THE ENVIRONMENTAL PROTECTION AND REPRODUCTION

PARMEN LEMONJAVA
Full professor of GTU

The work deals with characterization of production of the material wealth and consumption as one of the factors influencing on the nature quality. Consequently, the level of life has been substantiated as an influencing factor on the nature in a broad sense.

In the work the nature, its resources have been included in the system of characteristics of the people’s level of life. Such an approach to interrelations between the nature and the level of life of the society has been considered as the correct understanding of the essence of the level of life.

In the work the level of meeting of the general requirements of the society has been determined not only by consumption of the material wealth, but by the life providing ecological conditions. And that is why that the society has to make a decisive step on the contemporary stage for raising the common level.

The nature, its resources meet bilaterally the requirements of the society. On the one hand the nature by its useful properties meets the production requirements of the society, and on the other hand - its social-ecological requirements. The aggregate of both of them is of special importance.